



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მორალი

მორალი (ლათ. Moralitas), ფილოსოფიის ერთ-ერთი განშტოების – (მეტა)ეთიკის შესწავლის საგანი, რ-იც განსაზღვრავს ქმედებათა საზრისს. **მ.** იმ წესების, ნორმებისა და ქცევების ერთობლიობაა, რ-ებსაც ადამიანი (ან ადამიანთა ჯგუფი) გარკვეული მორალური კოდექსის საფუძველზე ახორციელებს. კითხვა **მ**-ის განსაზღვრებასთან დაკავშირებით ამგვარად ჟღერს: რა არის მორალურობა და როგორია მისი ბუნება? არის თუ არა ის ობიექტური? უკავშირდება თუ არა **მ.** სუბიექტურობას? სხვადასხვა კულტურულ, რელიგიურ და ფილოს. ტრადიციაში ვხვდებით **მ**-ის მთავარი პრინციპებისა და საზრისის შესახებ განსხვავებულ თეორიებს; არსებობს მისი (მორალურობის) ურთიერთგამომრიცხავი განსაზღვრებებიც. ამის მიზეზი არის **მ**-ის მრავალფეროვანი საზრისი, რაც გამოიხატება **მ**-ის შესახებ არსებული თეორიების განსხვავებული პერსპექტივებით. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია **მ**-ის „აღწერითი“ (ან „რელატიური“) კომპონენტი, რ-იც აყალიბებს გარკვეულ ქმედებათა ინდივიდუალურ კოდექსს დროის, კულტურის, რელიგიის, საზ-ბისა და პოლიტ. წყობის შესაბამისად. მაგ., თუკი სიკვდილით დასჯა, აბორტი, ნარკოტიკის ლეგალიზაცია, ევთანაზია და სხვა მსგავსი მოვლენების დაკანონება-დაშვება უკიდურესად სუბიექტური და მხოლოდ გარკვეულ პირთა/ჯგუფების გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, სხვათათვის, შესაძლოა, ეს მიუღებელი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, აღსანიშნავია **მ**-ის „ნორმატიული“ (ან „აბსოლუტური“) კომპონენტი, რ-ის თანახმადაც ქმედებათა კოდექსი განისაზღვრება ისეთი გადაწყვეტილებით, რ-იც ყველასთვის ერთნაირად რაციონალურია და **მ**-ის უნივერსალურ პრინციპებზე მიუთითებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მ**-ის „აღწერითი“ ნაწილი სუბიექტურია, ხოლო „ნორმატიული“ – უნივერსალური. ასევე, საყურადღებოა **მ**-ის აბსოლუტური და სკეპტიკური გაგება – პირველს უნივერსალური საზრისის მიხედვით ესმის **მ.**, მეორე კი უარყოფს ქმედებათა ისეთ სისტემას, რ-იც უნივერსალურ **მ**-თან იქნება თავსებადი. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის მორალურობა, „აღწერითი“ და „ნორმატიული“ აზრითაც, ნების აქტია; თავისუფლება გვევლინება ისეთ

უნივერსალურ კატეგორიად, რ-ის ირგვლივაც შეიძლება გაერთიანდეს მ-ის შესახებ დისკუსია; ამასთანავე, თავისუფლება, როგორც მორალურობის მთავარი ღერძი, განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას საკუთარ თავსა და სხვასთან ემპათიური ურთიერთმიმართებით; თავისუფლების ემპათიური გაგება კი (სწორი და არასწორი) ქმედებების გარჩევის საუკეთესო საშუალებაა და მორალურობის უნივერსალურ საფუძვლად რჩება. ქართ. ფილოსოფიაში მ-ის ცნება, მ-ის შესახებ თეორიები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განხილულია ქართ. ფილოს. ისტორიაში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. დანელიას, შ. ნუცუბიძის, კ. ბაქრაძის, გ. თევზაძისა და სხვათა გამოკვლევები.

ლიტ.: არისტოტელე: ნიკომაქეს ეთიკა, თბ., 2003; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე , კანტიანური კვლევები, თბ., 2022; კ ა ნ ტ ი ი., ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, მთარგმნელი ლ. რამიშვილი, თბ., 2013; პლატონი, მენონი, იონი, დიდი ჰიპია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1974.

**ბ. მაშავა**

---